



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუნი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21.03.2022-01.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.05.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუნი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312.1.2
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №130, 13.06.2019

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანა მაჩიტაძე, ა(ა)იპ ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის“ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №130 გადაწყვეტილების შესაბამისად. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, ამასთან, 180 კრედიტი შედგება სავალდებულო, ხოლო 60 კრედიტი არჩევითი კომპონენტებისაგან. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი“.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და წვლილი შეაქვთ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე; ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციების და მიდგომების გამოვლენა, საერთაშორისო უსაფრთხოების, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების გააზრება, მსჯელობა და თეორიული ცოდნის მისადაგება ურთიერთპატივისცემის და ეთიკურ-მორალური პრინციპების დაცვით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების (MES 6 22 0000284085, 18/03/2022) საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, პერსონალის პირადი საქმეები და ინფორმაცია უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის შუამდგომლობით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია ინსტიტუციიდან.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება განხორციელდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

2.3 სასწავლო კურსი

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს ცხადად, იყოს გაზომვადი და აქტიური, აწმყო დროში ფორმირებული ზმნების გამოყენებით;
- მიზანშეწონილია პრაქტიკის სილაბუსი პასუხობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმების შესაძლებლობებს, რათა მიღწეულ იქნას პროგრამითა და პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.

2.6 სტუდენტების შეფასება

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები მეტად მრავალფეროვანი გახდეს, რათა ეფექტიანად შეფასდეს სტუდენტების მიერ გავლილი მასალის ათვისება და სწავლის შედეგების მიღწევა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგებზე გასვლის ხარისხისა და დონეების მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტსა და ხელმძღვანელის თანამშრომლობის ეფექტიან წარმართავას.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ასევე კონფერენციების შემთხვევაში მეტი აქცენტი გაკეთდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობაზე უშუალოდ დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

▪ **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე.**

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუციამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება 2.3 კომპონენტის სასწავლო კურსის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით და აღსანიშნავია, რომ გარკვეული ქმედებები უკვე განხორციელებულია რეკომენდაციების შესაბამისად. ინსტიტუციამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გაცემული რეკომენდაციების შედეგად კორექტირებული პრაქტიკის სილაბუსი, რომელიც ორგანიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და პასუხობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესაბამისი უნარების გამომუშავებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

რაც შეეხება 2.6 კომპონენტის სტუდენტთა შეფასების ნაწილში გაცემულ რეკომენდაციას, მიუხედავად ინსტიტუციის არგუმენტებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო საგნების შეფასება უმეტესად სტანდარტიზებულია და ეფუძნება წერით, ზეპირი გამოკითხვას და პრეზენტაციას. მიზანშეწონილი იქნება, თუკი შეფასების კომპონენტები მეტად მრავალფეროვანი გახდება, რათა ეფექტიანად შეფასდეს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში არ შეცვლილა პროგრამის სახელწოდება, თუმცა შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. 2019 წელს აკრედიტებული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში, ხოლო არაგეგმიური მონიტორინგით წარმოდგენილი პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0312.1.2).

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და წვლილი შეაქვთ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე;
- შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები;
- მისცეს მათ საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო უსაფრთხოების, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ;
- გააცნოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პოლიტიკური, სამართალმცოდნეობრივი, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტები;
- გამოუმუშავოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გააზრების, განზოგადების, საკითხის დასმისა და

<p>ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგების, ურთიერთპატივისცემის და ეთიკურ-მორალური პრინციპების დაცვის უნარი.</p> <p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში საბაკალავრო პროგრამის მიზნებში შინაარსობრივი ცვლილებები არ განხორციელებულა. დაკორექტირდა ტერმინოლოგია და ამოღებულ იქნა პროგრამის მიზნების ბოლო ფრაზიდან „მულტიკულტურულ გარემოში“ განზომილება.</p> <p>წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება პროგრამის დასახელებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამასთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასევე, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მექანე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“; • საბაკალავრო პროგრამა; • სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები ძირეულად არ შეცვლილა, გარკვეულწილად მოდიფიცირდა შედეგების ფორმულირება, შეიკვცა და ჩამოყალიბდა აქტიური ზმნების გამოყენებით.

წარმოდგენილი პროგრამის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ჩამოყალიბებულია აწმყო დროში, არის გაზომვადი და რეალისტური და აღწერს პროგრამის შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას.

დანართის სახით წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა ასახავს ინფორმაციას სწავლის შედეგებზე გასვლის ხარისხისა და დონეების მითითებით, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს იმ კომპეტენციებსა და უნარებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებზე გასვლის ხარისხისა და დონეების მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია გადაიხედოს რუკა და მასში სრულყოფილად აისახოს სასწავლო კომპონენტების შედეგები. მაგალითისათვის, ევროპული ინტეგრაციის სასწავლო კურსი მეტად რელევანტურია გადიოდეს მე-4 შედეგზეც - აფასებს საერთაშორისო ურთიერთობების მიღწევებს, გამოწვევებსა და პრობლემებს და იყენებს თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებს საერთაშორისო და/ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დროს.

წარმოდგენილი კურიკულუმის რუკითა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების

პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების შესაბამისად, დასტურდება, რომ პროგრამას შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულების სისტემა და თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისათვის განსაზღვრული მტკიცებულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების ფორმა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგებზე გასვლის ხარისხისა და დონეების მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის თანახმად პროგრამაზე სწავლის უფლება მოპოვება შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის პროცესში მონაწილეობითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წინაპირობები ასევე განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.</p> <p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების

<p>ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო პროგრამა; • აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფუს დასკვნა (2019 წ.); • უსდ-ს ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ირკვევა რომ პროგრამის სტრუქტურამ განიცადა გარკვეული მოდიფიცირება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში. შეიცვალა კომპონენტების დასახელებები; უცხო ენის სავალდებულო კომპონენტი 60 კრედიტი გადანაწილდა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო (40 კრედიტი, ზოგადი) და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო (20 კრედიტი, დარგობრივი) სასწავლო კურსებში; სასწავლო კურსები სპეციალობის სავალდებულო (კონფლიქტოლოგია) და სპეციალობის არჩევითი (დემოკრატია და მოქალაქეობა) სასწავლო კურსებიდან გადატანილია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო/არჩევით კურსებში; აგრეთვე, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტს მიეცა კიდევ ერთი დამატებითი ენის შესწავლის/არჩევის შესაძლებლობა, კერძოდ უცხო ენა - იტალიური ენა (A1,A2,B1/1; B1/2) - 20 კრედიტის ოდენობით.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას და პროგრამის შინაარსს. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, აქედან:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 115 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები - 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები - 105 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი.

შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს (აღემატება სწავლის ძირითადი სფეროსთვის დადგენილ მინიმალურ 120 კრედიტს) და თავისუფალ კომპონენტს. ორივე კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით. არჩევითი სასწავლო კურსების ოდენობა იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კომპონენტის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომს 10 კრედიტის მოცულობით. რომლის არჩევის შემთხვევაშიც სტუდენტი იყენებს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილ კრედიტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები უმეტესად გაწერილია ცხადად, აქტიური ზმნების გამოყენებით. თუმცა, რიგ შემთხვევაში შედეგები არ არის გაზომვადი და ცხადად, აწმყო დროში ფორმულირებული, მაგ.: პრაქტიკის სილაბუსში სწავლის შედეგები იწყება ზმნებით</p>

„გაცნობა“, „გააცნობიერებს“ რაც ართულებს შედეგის მიღწევის გაზომვის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი იყოს გაზომვადი და ფასდებოდეს, შესაბამისად მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს ცხადად, იყოს გაზომვადი და აქტიური, აწმყო დროში ფორმირებული ზმნების გამოყენებით.

პროგრამა მიუთითებს, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკას კერძო და საჯარო სექტორში, რომლის საფუძველზე სტუდენტებს ეძლევათ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების, პროფესიულ საქმიანობაში მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, პრაქტიკის სილაბუსი, მისი მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე, მორგებულია ბიზნეს კომპანიაში პრაქტიკის განხორციელებაზე. მიზანშეწონილია პრაქტიკის სილაბუსი პასუხობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმების შესაძლებლობებს, რათა მიღწეულ იქნას პროგრამითა და პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს ცხადად, იყოს გაზომვადი და აქტიური, აწმყო დროში ფორმირებული ზმნების გამოყენებით;
- მიზანშეწონილია პრაქტიკის სილაბუსი პასუხობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმების შესაძლებლობებს, რათა მიღწეულ იქნას პროგრამითა და პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.

პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროებს დახვეწას, რათა ორგანიზებული იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად (შესაბამისი რეკომენდაცია გაცემულია 2.3 კომპონენტში), პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის, სხვა სასწავლო კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკულ სამუშაოებთან ერთად არსებობა მნიშვნელოვანია (10 ECTS).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შემოწმდა სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება სასწავლო კურსის შინაარსის, სპეციფიკის, ასევე მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფის შეფასების მიზნით. როგორც ირკვევა თვითშეფასების ანგარიშიდან და პროგრამის აღწერიდან, სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებზე. დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში რიგი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება, მათ შორის ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, როლური თამაში, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება - სწავლის მეთოდები მოიცავენ შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი,

სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები); სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება. ხაზგასასმელია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. მაგალითად, დემოკრატია და მოქალაქეობის სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკული მუშაობის, ისე როლური თამაშის მეთოდი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა; საერთაშორისო კონფლიქტების სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში - case study-ს ანალიზი; ევროპული ინტეგრაციის სასწავლო კურსის შემთხვევაში - ჯგუფური მუშაობა (როგორც ერთ-ერთი მეთოდი). საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, შეისწავლოს ყველაზე მოთხოვნადი ენები: ინგლისური სავალდებულოდ, და გერმანული ან ფრანგული ენები.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს (პროგრამის არჩევითი კომპონენტის ნაწილი), მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში ნაშრომზე მუშაობის პროცესი დეტალურად გაწერილია, საჭიროა სწავლა-სწავლის მეთოდების დაზუსტება, რომელიც გამოიყენება სტუდენტის და ხელმძღვანელის თანამშრომლობის მიმდინარეობისას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც გამოვლინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში დაზუსტდეს სწავლა-სწავლების მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტსა და ხელმძღვანელის თანამშრომლობის ეფექტიან წარმართავას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

